დასკვნა:**დ03. 3723213001**
თარიღი:**01/08/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 31 ივლისს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 34 480,0 ათ. ლარი. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ორი ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 70273,53 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა გასული წლის გარდამავალი ნაშთის გარეშე შეადგინა 28 335,12 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 55,52%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 34135,1 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 48,57%-ია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსებამ 20 195,2 ათ. ლარი შეადგინა(წლიური გეგმის 50,34%); საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება წლიური გეგმის მიმართ 48,73%-ითაა განსაზღვრული, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 6 თვეში დაფინანსებულია წლიური გეგმის 40,62%-ით.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 148,3 ათ. ლარი(მ.შ. 89,3 ათ. ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ).

კომისიამ იმსჯელა 2023 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი ხასიათდება სტაბილურობით, რაც შესაბამისად პროპორციულად აისახება საბიუჯეტო ხარჯების დინამიკაში. აღნიშნული კი საფუძველს ქმნის წარმატებით შესრულდეს წლიური ფისკალური გეგმა.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი